საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის განხორციელების

ა ნ გ ა რ ი შ ი

2011

შესავალი

2009 წლის 24 ნოემბერს საქართველოს პრემიერ მინისტრის 2009 წლის 24 ნოემბრის №342 ბრძანებით დამტკიცდა პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია (პროფესიული განათლების შუალედური სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2009-2012 წლებისათვის). აღნიშნული დოკუმენტის დამტკიცებას წინ უსწრებდა საჯარო განხილვები პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების, სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლებთან, პროფესიულ კავშირებთან, პროფესიული ასოციაციებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

საქართველოს მთავრობამ პროფესიული განათლების რეფორმის მიზნად დასახა შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული ახალი პროფესიული განათლების სისტემის შექმნა, რომელიც გავლენას იქონიებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, თავსებადი იქნება საერთო ევროპულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცესთან და ხელს შეუწყობს პიროვნების თვითრეალიზაციას.

პროფესიული განათლების სტრატეგიის სამოქმედო გეგმის საფუძველზე მომზადდა ევროკავშირის ,,პროფესიული განათლების სექტორის მხარდაჭერის პროგრამა". განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2010 წლის საქმიანობა პროფესიული განათლების მიმართულებით წარიმართა სწორედ აღნიშნული დოკუმენტების შესაბამისად. ამავე დროს, სამინისტრომ დაიწყო 2005-2009 წწ-ში პროფესიული განათლების რეფორმის მიმართულებით განხორციელებული პროგრამების შეფასება, კანონმდებლობის ანალიზი და დასახული მიზნების მისაღწევად უფრო ქმედითი საშუალებების ძიება. შედეგად, 2010 წლის სექტემბრიდან ცვლილებები შევიდა ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონში, რითაც სისტემის რეფორმირების პროცესი გადავიდა სრულიად ახალ ფაზაში.

2011 წლის 2 აგვისტოს საქართველოს პრემიერ მინისტრის #356 ბრძანებით ცვლელებები შევიდა ძალაში 2009 წლის 24 ნოემბერს პრემიერ მინისტრის #342 ბრძანებით დამტკიცებულ "სახელობო განათლებისა და მომზადების შუალედური (2009-2012 წლებისთვის) სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში". ცვლილებების პროექტი ჯერ კიდევ 2010 წელს მომზადდა და არაერთხელ იყო განხილული ეროვნული პრაფესიული საბჭოზე. ამ პროცესში ჩართილი იყო სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები.

წარმოდგენილ ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების შესახებ.

სტრატეგიის განხორციელების პროცესში სამინისტროს მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ პარტნიორი ორგანიზაციები (GIZ (GTZ და INWENT), USAID, UNDP, IOM, NRC, და სხვ.), მათი უშუალო მონაწილეობით განხორციელდა არაერთი პრიორიტეტული პროექტი (რეკომენდაციები პოლიტიკის შემუშავებისა და დაგეგმვის პროცესში, კონკრეტული პროგრამები პროფესიულ კოლეჯებში), ერთობლივად იგეგმება 2012 წლის აქტივობები, რაც იმის დასტურია რომ პროფესიული განათლების რეფორმის პროცესში აღნიშნული ორგანიზაციების მონაწილეობა არა ფრაგმენტული, არამედ გრძელვადიანი, მიზნობრივი და შედეგზე ორიენტირებულია.

1. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფა

1.1. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ხარისხის უზრუნველყოფის გარე შეფასების მექანიზმებია: ავტორიზაცია და აკრედიტაცია.

2010 წლის 1 ოქტომბერს მიღებულ იქნა ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №99/ნ ბრძანება.

ავტორიზაცია არის საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების პროცედურა, რომლის მიზანია სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაცემად შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა;

ავტორიზაციის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) საავტორიზაციო განაცხადის წარგენა;

ბ) ავტორიზაციის მაძიებლად ცნობა;

გ) ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნა;

დ) საავტორიზაციო ვიზიტის განხორციელება;

ე) ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის შედგენა და დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა;
ვ) ავტორიზაციის საკითხზე ზეპირი მოსმენის გამართვა;
ზ) გადაწყვეტილების მიღება და გამოქვეყნება.

ავტორიზებული დაწესებულება ვალდებულია, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს ყოველწლიურად, პირველი მაისიდან 30 ივნისამდე, წარუდგინოს თვითშეფასების წლიური ანგარიში.

2011 წელს ავტორიზაცია გაიარა კერძო 16 საზოგადოებრივმა და 5 პროფესიულმა კოლეჯმა. 2010-2011 წლების მანძილზე ავტორიზებულად ითვლებოდა 20 სახელმწიფო პროფესიული კოლეჯი, მათგან სამმა შეიცვალა სტატუსი და გაიარა ავტორიზაცია, როგორც საზოგადოებრივმა კოლეჯმა. ავტორიზებულად ითვლება ასევე 24 კერძო პროფესიული კოლეჯი. 2011 წელს 23 უმაღლესი და 4 კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებს პროფესიულ საგნამანათლებლო პროგრამებს.

2011 წელს ყველა მოქმედმა პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ წარმოადგინა **თვითშეფასების ანგარიში.**

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, აკრედიტაციის მიზანია აკრედიტაციის სტანდარტებთან საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის განსაზღვრა, განათლების ხარისხის ასამაღლებლად საგანმანათლებლო დაწესებულების სისტემატური თვითშეფასების დამკვიდრება და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარების ხელშეწყობა.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მომზადდა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 6 მაისის N65/N ბრძანებით დამტკიცდა **საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულება** რომლის შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებია:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა;
ბ) სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა;
გ) მოსწავლეების/პროფესიული სტუდენტების/სტუდენტების მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა;

დ) სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა;

ე) სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.

2011 წელს აკრედიტაცია გაიარა 4 საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილმა 11 პროფესიულმა საგანმანათლებლო პროგრამამ.

1.2. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ფუნქციონირება

პროფესიულ განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურად ფუნქციონირებას უზრუნველყოფს სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. ცენტრმა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში: შეიმუშავა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სარეკომენდაციო ფორმა; აგრეთვე 2011 წელს განხორციელებული თვითშეფასების ანალიზის საფუძველზე მოამზადა რეკომენდაციები, რომლებიც შემდეგ განხილულ იქნა ეროვნულ პროფესიულ საბჭოზე; განახორციელა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაცია, თვითშეფასება და წარმოდგენილი პროგრამების აკრედიტაცია; განახორციელა უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება; ცენტრი აგრეთვე აწარმოებს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრს.

1.3. დარგობრივი საბჭოების მუშაობის გაგრძელება და ხელშეწყობა

პროფესიული განათლების ხარისხისა და კვალიფიკაციის სისტემის განვითარების მიზნით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2010 წლიდან ფუნქციონირებს დარგობრივი საბჭოები/თემატური სამუშაო ჯგუფები დამსაქმებლების, პროფესიული გაერთიანებების (ასოციაციები, კავშირები და სხვ.), სახელმწიფო მმართველობითი ორგანოების წარმომადგენლების, უმაღლესი საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მონაწილეობით. 2011 წლის იანვარში ცენტრის დირექტორის ბრძანებებით (№№19-30) განახლდა ამ ჯგუფების შემადგენლობა. სექტემბერში მათ კიდევ ორი ჯგუფი დაემატა: არქიტექტურისა და მეცნიერების/ზუსტი მეცნიერების. შესაბამისად, დარგობრივმა საბჭოებმა/ თემატურმა სამუშაო ჯგუფებმა შემდეგი სფეროები მოიცვეს:

1. სამთო და გეოინჟინერია;
2. მანქანათმშენებლობა, ტექნოლოგია, მეტალურგია და მასალათმცოდნეობა;
3. ხელოვნების მიმართულება;

4. ბიზნესის ადმინისტრირება;
5. ტურიზმი;
6. ჯანდაცვა;
7. საზღვაო, სარკინიგზო, საჰაერო, სახმელეთო ტრანსპორტი;
8. ენერგეტიკა და ვაჭრობა;
9. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და ჟურნალისტიკა;
10. მშენებლობა და გარემოს დაცვა;
11. კომპიუტერული მეცნიერებები/ტელეკომუნიკაციები;
12. არქიტექტურა;
13. მეცნიერება/ზუსტი მეცნიერება.

დარგობრივი საბჭოების აქტიური მონაწილეობით 2010 წელს მომზადდა პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩო, კვალიფიკაციების ნუსხა (კლასიფიკატორი) და ისინი ხელმძღვანელობდნენ პროფესიულ სტანდარტებზე მომუშავე ჯგუფებს. 2010-2011 წელს პროფესიულ სტანდარტებზე მუშაობის პროცესი აღწერილია ოქმებში და გულისხმობს ამ სტანდარტების პროექტების განთავსებას ინტერნეტში, რათა ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა შეძლოს საკუთარი კომენტარებისა და წინადადებების გამოთქმა სტანდარტების დასახვეწად, რომლებიც განხილული იქნება სამუშაო ჯგუფის მიერ. ეს პროცედურა კი თვალნათლივ წარმოაჩენს კონკრეტული პროფილისა და სტანდარტის შემუშავების ეტაპებს. ასეთი ჩართულობით 2010 წელს შემუშავებული და დამტკიცებულია 107, ხოლო 2011 წელს 119 პროფესიული სტანდარტი, სტანდარტები დამტკიცებულია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. დამტკიცებული პროფესიული სტანდარტები განთავსებულია ცენტრის ვებ-გვერდზე და მისაწვდომია პროფესიული განათლების სისტემის მომხმარებლებისა და პროვაიდერებისათვის. არსებობს ამ სტანდარტების პროექტების დარგობრივ საბჭოებთან/თემატურ სამუშაო ჯგუფებთან განხილვის ოქმები. 2011 წელს ამ ჯგუფების სხდომებზე განხილულ იქნა აგრეთვე ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვედარგების/სპეციალიზაციებისა და პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალში კონკრეტული პროფესიული სპეციალიზაციების დამატების საკითხები.

1.4. პროფესიულ კვალიფიკაციათა ნუსხა - კლასიფიკატორი

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შემადგენელ მეოთხე დოკუმენტში სისტემატიზებულია საქართველოში არსებული საგანმანათლებლო მიმართულებები, დარგები/სპეციალობები, ქვედარგები/სპეციალიზაციები და პროფესიული სპეციალიზაციები. აღნიშნულ კვალიფიკაციათა ნუსხაზე მუშაობა 2009 წელს დაიწყო და დოკუმენტი 2010 წელს დამტკიცდა. სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი მუდმივად ახორციელებს კვალიფიკაციათა ნუსხის განახლებას არსებული კვალიფიკაციების გადახედვითა და/ან ახალი კვალიფიკაციების დამტკიცებით.

1.5. ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული სტანდარტების შექმნა

,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების თანახმად პროფესიულ სტანდარტებზე მუშაობა წარმოადგენს სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის კომპეტენციას. სტანდარტების შემუშავების პროცესში ჩართულები არიან დარგობრივი საბჭოები, ცალკეული დარგობრივი ექსპერტები და სხვა დაინტერესებული მხარეები. 2011 წლისათვის დამტკიცებულია 226 პროფესიული სტანდარტი. პარალელურად მიმდინარეობს პროფესიული სტანდარტების პროექტებზე მუშაობა და დამტკიცებული სტანდარტების გადახედვა. ამ მიზნით, 2011 წელს ETF-ის მხარდაჭერით დაიწყო ახალი პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს კონკრეტული პროფესიული სტანდარტების გადახედვას და შესაბამისი პროგრამების შემუშავების ხელშეწყობას. გარდა ამისა, თოთეული პროფესიული სტანდარტის პროექტის დახვეწის მიზნით სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფს საჯარო განხილვებსა და დისკუსიებს. დამტკიცებული პროფესიული სტანდარტები გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე (www.eqe.ge).

1.6. ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი და სტუდენტზე ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ხელშეწყობა

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა უზრუნველყო 226 პროფესიული სტანდარტის შემუშავება და დამტკიცება. პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა შეიმუშავეს პროფესიული სტანდარტების შესაბამისი საგანამანთლებლო პროგრამები. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისას ხელმძღვანელობდნენ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული **პროფესიული საგანმანათლებლო**

პროგრამის დიზაინის სარეკომენდაციო ფორმით. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამები წარმოდგენილ იქნა თებერვალსა და ივნისში თვითშეფასების პროცედურით და, შესაბამისად, კოლეჯებმა მიიღეს წარმოდგენილი პროგრამების განხორციელების უფლება. პროგრამების შემუშავების ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა რამდენიმე ღონისძიება პროექტის "საქართველოში პროფესიული განათლებისა და მომზადების განვითარების მხარდაჭერა II". პროექტის პარტნიორები არიან ესტონეთის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სახელმწიფო საგამოცდო და საკვალიფიკაციო ცენტრი და 8 პროფესიული სასწავლო დაწესებულება; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. პროექტის ფარგლებში ამა წლის 5-8 დეკემბერს განხორციელდა ტრენინგები ხარისხის უზრუნველყოფა და პროგრამის შემუშავების საკითხებში.

1.7. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეაბილიტაცია და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განვითარება

მიმდინარე წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ინფრასტრუქტურის განახლებისა და თანამედროვე საგანმანათლებლო გარემოს შექმნის მიზნით, მნიშვნელოვანი სამუშაო გასწია პროფესიულ კოლეჯებში:

კაჭრეთის პროფესიული კოლეჯის საერთო საცხოვრებლისა და სასტუმროს აღჭურვა შესაბამისი ავეჯით, ელექტროტექნიკით, კომპიუტერული ტექნიკითა და სხვა საჭირო ინვენტარი 2011 წლის თებერვალში დასრულდა. აღნიშნულ კოლეჯთან წარმატებით თანამშრომლობს გაეროს განვითარების პროგრამა, რომლის თანამონაწილეობით აშენდა "ჩირის სახლი" და "ღვინის მარანი". კოლეჯის სახსრებით გაფართოვდა სახელოსნოები ავტო-შემკეთებლის სპეციალობისთვის, მზარეულის სპეციალობისთვის შეძენილ იქნა მატერიალური-ტექნიკური ბაზა. პრაქტიკული მეცადინეობების ფარგლებში სტუდენტებმა ააშენეს 3 სახელოსნო მშენებლობისა (კალატოზი და მეფილე-მომპირკეთებელი) და მეფუტკრეობის სპეციალობებისათვის. მიმდინარე წელს დასრულდა თანამედროვე ხეხილის ჯიშების სანერგე მეურნეობის მშენებლობა 1 ჰა ფართობზე. კოლეჯის ძალისხმევით აშენდა "ყავის სახლი".

2011 წელს დასრულდა **ფოთის პროფესიული კოლეჯის "ფაზისი"** სასწავლო კორპუსის რეაბილიტაცია. პროექტის ფარგლებში ჩატარდა ეზოს შემოღობვისა და მოშანდაკების სამუშაოები;

2011 წლის იანვარში IOM-თან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, ფოთის პროფესიულ კოლეჯში მოეწყო ელექტრო შედუღების საამქრო და სამაცივრე დანადგარების ტექნიკოსის სახელოსნო. მიმდინარე წელს, გაეროს განვითარების ფონდის (UNDP) პროგრამის ფარგლებში გაკეთდა სადურგლო-სახელოსნო, სამკერვალო საამქრო, ელექტრიკოსისა და ზეინკალ-სანტექნიკოსის კაბინეტები, და ასევე, Cisco-ს ლაბორატორია.

მიმდინარეობს **ქობულეთის პროფესიული კოლეჯის** საერთო საცხოვრებლისა და სასტუმროს რეაბილიტაციის პროცესი; ქობულეთის პროფესიულ კოლეჯთან "ახალი ტალღა" წარმატებით თანამშრომლობდა USAID-ის პროექტი Vep In Georgia, რომლის ფარგლებში მოეწყო მძიმე ტექნიკისა და კოშკურა ამწის ლაბორატორიები; USAID-ის თანამონაწილეობით გაკეთდა ელექტრიკოსის, მეფილე-მომპირკეთებლის, სანქტექნიკოსის, შემდუღებლის, მღებავის კლას-კაბინეტები; შეძენილ იქნა ინვენტარ-მოწყობილობები სასტუმრო და სარესტორნო სპეციალობებისათვის. ასევე, განხორციელდა გიდების ინვენტარის სრულყოფა. პროექტის ფარგლებში კოლეჯს გადაეცა მსუბუქი ავტომობილი.

თბილისის პროფესიულ კოლეჯში "აიტი" შეიქმნა Cisco-ს ახალი ლაბორატორია და აღიჭურვა 3D ლაბორატორია. გაკეთდა პანდუსი და ლიფტი განსაკუთრებული საჭიროების მქონდე პირთა გადაადგილებისათვის. რეაბილიტაცია ჩაუტარდა კოლეჯის პირველ სართულს; შეკეთდა გათბობის სისტემა და ჭერი. ასევე გაძლიერდა კომპიუტერული პარკი.

მიმდინარე წელს**, პროფესიულ კოლეჯში "იკაროსი"** კერძო სექტორის დახმარებით გარემონტდა და მოეწყო კლას-კაბინეტი ლიფტები ტექნიკოსის სპეციალობისათვის.

თბილისის პროფესიული კოლეჯში "სპექტრი" 2011 წელს განხორციელდა კლას-კაბინეტების ინტერიერის გაუმჯობესება, დამატებითი კომპიუტერების შეძენა და კომპიუტერული კლას-კაბინეტების აღჭურვა. მიმდინარე წელს, USAID -ის პროექტის Vep In Georgia-სა და ,,სპექტრის" ერთობლივი ძალისხმევით განხორციელდა შედუღების კაბინეტის გარემონტება და ინვენტარით აღჭურვა.

ახალციხის **პროფესიული კოლეჯი "ოპიზარი"** აღიჭურვა თანამედრო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით მზარეულის, ბარმენის, მიმტანისა და კონდიტერის სპეციალობებისათვის, რომელიც განხორციელდა IOM-თან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე. ასევე, გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში გარემონტდა და აღიჭურვა კლას-კაბინეტი ხილის საშრობი

დანადგარით. მიმდინარე წელს, კოლეჯისთვის შეძენილ იქნა თანამედროვე ტექნოლოგიების შესაბამისი საკერავი მანქანები და სხვადასხვა სახის სასწავლო მასალა-მოწყობილობები.

სვანეთის **პროფესიულ კოლეჯში "თეთნულდი"** მოეწყო სასტუმრო საქმის მწარმოებლის ბაზა და აღიჭურვა შესაბამისი ინვენტარით. კოლეჯი წარმატებით თანამშრომლობდა USAID-ის პროექტთან, რომლის ფარგლებშიც გარემონტდა და მოეწყო სამზარეულო შესაბამისი თანამედროვე მოწყობილობებით, ასევე განხორციელდა სარესტორნო საქმის მწარმოებლის ბაზის მოწყობა-აღჭურვა. მიმდინარე წელს კოლეჯმა მოამზადა გიდების სპეციალობისთვის შესაბამისი ბაზა, რომელიც აღიჭურვა USAID-ის პროექტის დახმარებით.

ოზურგეთის **პროფესიულ კოლეჯის "ჰორიზონტის"** რეაბილიტაცია დასრულდა მიმდინარე წლის მეორე ნახევარში, რომლის აღჭურვაც 2012 წელს მოხდება.

2011 წელს **რუსთავის პროფესიულ კოლეჯში "მოდუსი"** გაკეთდა სადურგლო, რომელიც შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღიჭურვა, ასევე მასაჟისტის სპეციალობისთვის მოეწყო კლასი.

2011 წელს **ხიდისთავის პროფესიულ კოლეჯს "ორიენტს"** გადაეცა USAID-ის პროექტის ფარგლებში გაკეთებული სამშნებლო კლას-კაბინეტები და შესაბამისი აღჭურვილობა.

ქუთაისის პროფესიულ კოლეჯში "იბერია" აშენდა სადურგლო-სახელოსნო, რომელიც აღიჭურვა შესაბამისი დაზგა-დანადგარებითა და ჩარხებით, ასევე განხორციელდა ეზოს კეთილმოწყობა და არსებული აუზის რეაბილიტაცია. პროფესიული კოლეჯის ბაზაზე გაიხსნა საინფორმაციო ცენტრი, რომელიც აღიჭურვა შესაბამისი ინვენტარით. ასევე, მიმდინარე წელს, კოლეჯს გადაეცა UNDP-ის პროგრამის ფარგლებში გაკეთებული კომპიუტერული კლას-კაბინეტები შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკით.

ბათუმის პროფესიულ კოლეჯში "ბლექსი" გარემონტდა მეჩარხისა და ელექტრიკოსის სპეციალობებისათვის კლას-კაბინეტები. კოლეჯი წარმატებით თანამშრომლობს გაეროს განვითარების პროგრამასთან, რომლის ფარგლებშიც გარემონტდა და აღიჭურვა Cisco-ს მეორე დონის ლაბორატორია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. ხოლო, IOM-თან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე გარემონტდა და თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღიჭურვა სამკერვალო სპეციალობის კლას-კაბინეტი.

2011 წელს NRC-ის განათლების პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა **ჯვარის პროფესიული კოლეჯის "ლაკადა"** სარეაბილიტაციო სამუშაოები. კერძოდ, შეიცვალა გარე ფასადის კარ-ფანჯარა.

1.8. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო მასალების, სახელმძღვანელოებისა და ადამიანური რესურსების განვითარება

სასწავლო მასალებისა და სახელმძღვანელოების ხარისხის გაზრდა წარმოადგენს პროფესიული განათლების ხარისხის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას. აღნიშნული მიმართულებით 2011 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია USAID-ის პროექტმა, რომლის ფარგლებშიც მომზადდა და გამოიცა 7 დასახელების სახელმძღვანელო და 4 დასახელების დისკი ტურიზმისა და მშენებლობის მიმართულებებით:

1. მძიმე ტექნიკის მართვა;
2. მეფილე-მომპირკეთებელი;
3. რკინაბეტონის სამუშაოთა წარმოება (მეარმატურე, მეყალიბე, მებეტონე);
4. შემდუღებელი;
5. მღებავი;
6. თაბაშირ-მუყაო;
7. სტუმრის მიღება-განთავსება სასტუმროში დაჯავშნის სამსახური;
8. სამშენებლო მათემატიკა - დისკი;
9. უსაფრთხოება - დისკი;
10. დასაქმების მაჩვენებელი - დისკი;
11. მიმტანის პროფესია-დისკი;

სახელმძღვანელოები და დისკები გადაეცა ყველა სსიპ-ის ფორმის პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას. გარდა ამისა, USAID-მა უზრუნველყო ამერიკის შეერთებული შტატებიდან ტრენერების მოწვევა და მძიმე ტექნიკის მართვისა და კოშკურა ამწის სპეციალობების მასწავლებლების გადამზადება შესაბამისი მიმართულებებით. ასევე, USAID-მა **ქობულეთის პროფესიული კოლეჯისთვის "ახალი ტალღა"** მიმღები-რეცეფციონისტის პროფესიისთვის შეიძინა კომპიუტერული პროგრამები "ოპერა" და "მაიკროსოფტი".

პროფესიულმა კოლეჯმა "აიტი" მიმდინარე წელს დაასრულა მუშაობა "ოფისი 2007"-ისა და კომპიუტერული გრაფიკის კურსის ელექტრონული ვერსიის თარგმნაზე.

ასევე, 2011 წლისთვის IOM-მა შეიმუშავა სამკერვალო ნაწარმის სპეციალობისათვის სახელმძღვანელო, რომელიც გადასცა **ბათუმის პროფესიულ კოლეჯს "ბლექსი".**

მიმდინარე წელს, **კაჭრეთის პროფესიული კოლეჯის "აისი"** მასწავლებლებისათვის USDI-სა და GIPA-ს ერთობლივი ძალისხმევით ჩატარდა საგნობრივი ტრენინგები ვეტერინარიის მიმართულებით, რომელშიც ჩართულნი იყვნენ ინგლისის მთავარი ვეტერინარი და კოლორადოს უნივერსიტეტის პროფესორი.

გაეროს განვითარების ფონდმა უზრუნველყო **ფოთის პროფესიული კოლეჯის "ფაზისის"** მასწავლებლებისათვის საგნობრივი გადამზადება სამკერვალო ნაწარმის, ელექტრიკოსის, მებათქაშის, რკინა-ბეტონის, დურგლის, ზეინკალ-სანტექნიკოსისა და კალატოზის სპეციალობებში; ხოლო IOM-ის დახმარებით გადამზადდა სამაცივრო მოწყობილობების და შემდუღებლის სპეციალობების მასწავლებლები. ამავე წელს, გაეროს განვითარების ფონდის დახმარებით გადამზადდნენ და Cisco-ს ქსელური აკადემიის ტრენერის სერტიფიკატები მიიღეს ფოთის პროფესიული კოლეჯის მასწავლებლებმა.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საკითხებზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან 2009 წლიდან თანამშრომლობს გერმანული ორგანიზაცია ,,INWENT"ი (ამჟამად GIZ). აღნიშნული ორგანიზაციის მიერ მიმდინარე წლის აგვისტოში ჩატარდა ტრენინგები პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლებისათვის პედაგოგიური უნარ-ჩვევების განვითარების კუთხით, ხოლო ნოემბერში, მათ მიერ განხორციელდა შიდა ტრენინგები პროფესიული პედაგოგიკისა და სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობის საკითხებზე **ქუთაისისა და ფოთის პროფესიული კოლეჯების** მასწავლებლებისათვის და ადმინისტრაციის წარმომადგენლებისათვის.

მიმდინარე წელს, განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრთან თანამშრომლობის გზით NRC-ის მიერ დაფინანსდა ტრენინგების ციკლი ახალგაზრდების განათლების პროექტში ჩართული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლებისათვის პროფესიულ უნარებში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2010 წლიდან მნიშვნელოვან ღონისძიებებს ატარებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებელების განვითარებისათვის. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის

ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა სამუშაო თემატური ჯგუფი. თემატური ჯგუფის ფარგლებში, სხვა დაინტერესებული მხარეების აქტიური მონაწილეობით, შემუშავდა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტი, რომელიც დაამტკიცა საქართველო განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ. სტანდარტის შესაბამისად, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავდა ტრენინგ-მოდულები; პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის პედაგოგიური უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით, განხორციელდა 2 დონის ტრენინგი:

1. საბაზო პედაგოგირი უნარები
2. განვრცობილი პედაგოგიური უნარების და ინკლუზიური განათლება;

ტრენინგები ჩატარდა საქართველოს მასშტაბით არსებული სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, რომელთა რაოდენობა 500 შეადგენს. აღნიშნული ტრენინგების შედეგების საფუძველზე საქათველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სიგელებით დააჯილდოვა 102 მასწავლებელი, ხოლო აქედან საუკეთესო 20 მასწავლებელს გადასცა ფულადი პრემიები.

2012 წლისთვის კვლავ გაგრძელდება მასწავლებელთა ტრენინგები, როგორც საგნობრივ ისე პედაგოგიურ უნარჩვევებში.

2. პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და მოქალაქეთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა

2.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები დევნილების, პატიმრების, ეთნიკური უმცირესობების, სოციალურად დაუცველების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2009 წლიდან დღემდე, პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის დოკუმენტზე დაყრდნობით ახორციელებს სახელმწიფო პროგრამებს და ითვლისწინებს დამატებით ღონისძიებებს პროფესიულ განათლებაში მოსახლეობის ისეთი ჯგუფებისათვის, როგორიცაა: იძულებით გადაადგილებული პირები – დევ-ნილები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, პატიმრები, სხვა მსჯავრდებულები, ეთნიკური უმცირესობები, სხვადასხვა კატეგორიის რისკ-ჯგუფები (მათ შორის, ქუჩის ბავშვები), სოციალურად დაუცველნი და ა.შ.

მიმდინარე წელს ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს მხარდაჭერით 4 პროფესიულ კოლეჯში (ფოთი, ქობულეთი, ჯვარი და ხიდისთავი) დევნილმა და სოციალურად დაუცველმა მოსახლეობამ გაიარა მომზადება\გადამზადება შემდეგ პროგრამებზე: ბუღალტერი, სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი, თექის ხელოსანი, მიმღები-რეცეფციონისტი, სასტუმრო საქმის სპეციალისტი, მეფილე-მომპირკეთებელი, მეხილე, ელექტრიკოსი. 2011 წელს გადამზადებულთა რიცხვი შეადგენს 190-ს. ხოლო, 2008 წლიდან დღემდე, პროექტის ფარგლებში გადამზადდა 1633 ბენეფიციარი.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სოციალურად დაუცველმა და ასევე, სხვადასხვა სოციალური კატეგორის წარმომადგენლებმა პროფესიულ კოლეჯებში შეძლეს სახელმწიფო დაფინანსებით პროფესიული განათლების მიღება, როგორც მომზადების, ასევე გადამზადების კუთხით.

სულ უფრო იზრდება პროფესიულ კოლეჯებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სტუდენტთა რიცხვი. ამჟამად კაჭრეთის პროფესიულ კოლეჯში სწავლობს და საერთო საცხოვრებელით სარგებლობს ეთნიკური უმცირესობის 15 წარმომადგენელი (ჩეჩენი, ქისტი, ლეკი, სომეხი); ასევე, ახალქალაქის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულება-კოლეჯში პროფესიულ პროგრამებზე ირიცხება 23 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტი, ხოლო ახალციხის პროფესიულ კოლეჯში - ეთნიკური უმცირესობის 95 წარმომადგენელი (სომეხი, ბერძენი, უკრაინელი, რუსი, თურქი). ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები მრავლად არიან წარმოდგენილნი თბილისის პროფესიულ კოლეჯებშიც.

2012 წლისათვის დაგეგმილია სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადება-გადამზადება შემდეგ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე:

- მინანქარი
- ხის მხატვრული დამუშავება
- საინფორმაციო ტექნოლოგიები
- პარიკმახერი

2.2. პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სერვისის გაუმჯობესება;

პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით რეფორმის სტრატეგია ხაზს უსვამს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის საკონსულტაციო სისტემის ჩამოყალიბებას. აღნიშნული საკითხით განსაკუთრებით დაინტერესდნენ საერთაშორისო ორგანიზაციები, რაც კონკრეტული პროექტების განხორციელებით გამოიხატა. კერძოდ, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩამოყალიბდა კონსულატაციისა და დასაქმების ცენტრები. აღნიშნული ორგანიზაციის გარდა, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის კომპონენტის გაძლიერების მიმართულებით მუშაობს USAID-ის პროფესიული განათლების პროექტიც.

მიმდინარე წელს საერთაშორისო ორგანიზაცია IOM-მა გააგრძელა USAID-ის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებული თემატური ჯგუფის მუშაობა კარიერის დაგეგმვის მიმართულებით. თემატური ჯგუფის ფარგლებში შემუშავდა და დაიდო პროფორენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტის ფუნქციები, მოვალეობები და ა.შ. ამ დოკუმენტზე დაყრდნობით IOM-მა შეიმუშავა ტრენინგ-გეგმა და 2012 წლისთვის გეგმავს ტრენინგების ჩატარებას.

2.3. პროფესიული განათლების შესახებ საზოგადოების ინფორმირება და პოპულარიზაცია

2010 წლეს ჩატარებულმა მარკეტინგულმა კვლევამ აჩვენა პროფესიული განათლების შესახებ ინფორმირებულობის დაბალი დონე და ამასთან, კვლევამ გამოკვეთა რომ პროფესიული განათლება არც თუ ისეთი პრესტიჟულია საზოგადოებისათვის. შესაბამისად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშავა საინფორმაციო კამპანიის სტრატეგია, რომლის განხორციელებაც 2011

წელს დაიწყო. კამპანიის ფარგლებში შეიქმნა სარეკლამო რგოლები, ტელე გადაცემები, ბუკლეტები, ბილბორდები და ა.შ.

შეიქმნა პროფესიული განათლების ვებ-გვერდი www.prof.ge სადაც ყველა მსურველს შეუძლია მოიძიოს ინფორმაცია სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და იმ პროგრამების შესახებ, რომლებსაც სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებები ახორციელებენ.

პროფესიული განათლების მიღების მსურველთა დასახმარებლად ქვეყნის მასშტაბით ჩამოაყალიბდა სამი საინფორმაციო ცენტრი: თბილისში, ქობულეთსა და ქუთაისში. საინფორმაციო ცენტრებში შექმნილია განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთათვის შესაბამისი გარემო-პირობები.

საინფორმაციო ცენტრები უზრუნველყოფენ:

ა) პირის ინფორმირებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, ჩარიცხვის პირობებისა და ვადების შესახებ;

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების პირობებისა და არსებული ვაკანტური ადგილების შესახებ ინფორმაციის საჯაროობას;

გ) პროფესიული განათლების მიღების მსურველთა შესაბამის ბაზაში რეგისტრაციას;

საინფორმაციო ცენტრების თანამშრომლებს შეუძლიათ დაინტერესებულ პირს მიაწოდონ მაქსიმალური ინფორმაცია პროფესიული განათლებისა და მასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ და მსურველი დაარეგისტრირონ საქართველის მასშტაბით არსებულ ნებისმიერ სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საინფორმაციო ცენტრების საშუალებით მაქსიმალურად გამჭვირვალე გახდება პროფესიულ პროგრამებზე სტუდენტთა ჩარიცხვის პროცესი. საინფორმაციო ცენტრების მომსახურება უფასოა.

მიმდინარე წელს, ”პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის” ”ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის ქვეპროგრამის” ფარგლებში განხორციელდა სკოლის მოსწავლეთა ვიზიტი საინფორმაციო ცენტრებში, სადაც მოსწავლეებმა დაწვრილებითი ინფორმაცია მიიღეს პროფესიული განათლების, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროგრამების შესახებ. 2011 წელს, აღნიშნულ

ღონისძიებაში საქართველოს მასშტაბით 60-ზე მეტი საჯარო სკოლის 500-ზე მეტი (IX, X, XI, XII კლასის) მოსწავლე იყო ჩართული.

მომავალ წელს იგეგმება კიდევ 2 საინფორმაციო ცენტრის გახსნა - ზუგდიდსა და თელავში.

სამინისტრო საერთაშორისო ორგანიზაცია GIZ-თან ერთად მუშაობს სატელევიზიო გადაცემათა ციკლზე - "მე ვარ პროფესიონალი" და ასევე პროექტზე "პროფესიული განათლების კვირეული".

მიმდინარე წელს სახელმწიფო პროფესიულ კოლეჯებში სტუდენტთა რაოდენობა შეადგინა 8000-მდე.

2.4. არაფორმალური განათლების აღიარების წესი და პირობები;

,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, მომზადდა და 2011 წლის 3 თებერვალს დამტკიცდა **არაფორმალური განათლების აღიარების პირობები და წესი.** წესის თანახმად, არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებას ახდენს შესაბამისი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულება. აღსანიშნავია, რომ არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება დასაშვებია I-III საფეხურების ფარგლებში ყველა პროფესიისათვის, გარდა რეგულირებადი პროფესიებისა.

2.5. საზღვარგარეთ მიღებული განათლების აღიარების წესი და პირობები;

2010 წლის 1 ოქტომბერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N 98/ნ ბრძანებით დამტკიცდა საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესი. 2011 წელს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა განახორციელა უცხოეთში მიღებული პროფესიული განათლების აღიარება (15 შემთხვევა).

2.6. პროფესიული განათლების მონიტორინგისა და შეფასების სისტემის ჩამოყალიბება.

პროფესიული განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების მიმართულებით მნიშვნელოვანია მონიტორინგისა და შეფასების სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც გულისხმობს პროფესიული განათლებისა და მომზადების სფეროს მმართველობითი გადაწყვეტილებების საინფორმაციო უზრუნველყოფას, სტატისტიკური მონაცემების შეგროვების მეთოდოლოგიის შემუშავებასა და მის გამოყენებას. მიმდინარე წელს, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო

ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის ხელმძღვანელობით მუშაობდა „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მონაცემთა ბაზის შემუშავების თემატური ჯგუფი“, რომელიც 2011 წლის ბოლოს გადაეცა GIZ-ს. GIZ აგრძელებს სამინისტროს მიერ დაწყებულ სამუშაო თემატური ჯგუფის აქტივობებს. აღნიშნული თემატური ჯგუფი აერთიანებს სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და სსიპ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების, პროფესიულ განათლებაში ჩართული საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს და სხვა დაინტერესებულ პირებს.

ხოლო, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური აგრძელებს მუშაობას სტატისტიკური მონაცემების ბაზის სტურქტურასა და მონაცემთა შეგროვების მეთოდოლოგიაზე, რომელიც მომავალი წლისთვის დასრულდება. მონაცემთა ბაზაში განთავსდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების შემდეგი მონაცემები: მატერიალური\სასწავლო ბაზა, დაწესებულების ძირითადი საშუალებები, სტუდენტთა განთავსებისა და დასვენების შესაძლებლობები, საგანმანათლებლო პროგრამები, საკვალიფიკაციო გამოცდები, სტუდენტთა ძირითადი დემოგრაფიული მონაცემები, სტუდენტის წინმსწრები განათლება და კვალიფიკაცია, სტუდენტების ჩართულობა პროფესიულ პროგრამებში, პროგრამის მიტოვება, უცხო ენების სწავლება, სწავლის დასრულება, მონაცემები სტუდენტის მიერ საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შესახებ და ა.შ.

3. თანამონაწილეობის პრინციპზე დამყარებული პროფესიული განათლების სისტემის მართვისა და ეფექტიანი და სამართლიანი დაფინანსების მოდელის ჩამოყალიბება

პროფესიული განათლების შუალედური სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს თანამონაწილეობის პრინციპზე დამყარებული პროფესიული განათლების სისტემის მართვისა და ეფექტიანი და სამართლიანი დაფინანსების მოდელის ჩამოყალიბებას, რაც გამოიხატება შემდეგი აქტივობების განხორციელებით:

3.1. ეროვნული პროფესიული საბჭოს ჩამოყალიბება და ფუნქციონირება;

პროფესიული განათლების სფეროში სახელმწიფო დაწესებულებების, დამსაქმებლების, პროფესიული კავშირებისა და არასამთავრობო სექტორის, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების კოორდინირებულ მოქმედებათა უზრუნველყოფის მიზნით, 2009 წლის დეკემბერში, საქართველოს პრემიერ-მინისტრის განკარგულებით ჩამოყალიბდა ეროვნული პროფესიული საბჭო. რომელიც ფუნქციონირებას 2011 წელსაც განაგრძობდა. მიმდინარე წელს გაიმართა 9 ეროვნული პროფესიული საბჭოს სხდომა, აქედან 4 გაფართოებული შეხვედრა.

მიმდინარე წელს მთავრობაში და სამინისტროში განხორციელებული სტრუქტურული და საკადრო ცვლილებების გამო, საქართველოს მთავრობის 14 დეკემბრის განკარგულება №2439 დამტკიცდა საბჭოს განახლებული შემადგენლობა.

2011 წელს ეროვნული პროფესიული საბჭოს შეხვედრები:

№	თარიღი	განხილული საკითხები
2011		
1.	30 მაისი	• პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიული სტანდარტი; • სოციალური პარტნიორობის პოლიტიკის დოკუმენტი; • პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება-მოთხოვნის ანალიზი
2.	16 ივნისი	• პროფესიული განათლების ხარისხის განვითარების პოლიტიკა; • პროფესიული განათლების დაფინანსების პოლიტიკა • პროფესიული განათლების საინფორმაციო და სარეკლამო კამპანია • ეროვნული პროფესიული საბჭოს კარიერის დაგეგმვის

		თამატური ჯგუფის ანგარიში და რეკომენდაციები • პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიაში (პროფესიული განათლების შუალედურის სტრატეგია 2009-2012) შესატანი ცვლილებები
3.	28 ივლისი	• ეროვნული პროფესიული საბჭოს გაფართოებული სხდომა - სოციალური დიალოგი პროფესიული განათლების სფეროში და მისი განვითარება კოლეჯებში.
4.	29 ივლისი	• ეროვნული პროფესიული საბჭოს გაფართოებული სხდომა - პროფესიული განათლების სფეროში სოციალური პარტნიორობის პოლიტიკის განსაზღვრის თაობაზე სამმხრივი შეთანხმების დოკუმენტზე ხელის მოწერა;
5.	26 აგვისტო	• ევროკომისიის ,,საქართველოს პროფესიული განათლებისა და მომზადების სექტორის მხარდაჭერის პროგრამის" სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის შესახებ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 21 სექტემბრის №1219 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის საკითხის განხილვა; • ევროკომისიის ,,საქართველოს პროფესიული განათლებისა და მომზადების სექტორის მხარდაჭერის პროგრამის" განხორციელების ანგარიშის წარმოდგენა და განხილვა; • ევროკომისიის ,,საქართველოს პროფესიული განათლებისა და მომზადების სექტორის მხარდაჭერის პროგრამის" მესამე ტრანშით გათვალისწინებული აქტივობების განხილვა; • ეროვნული პროფესიული საბჭოს თემატური ჯგუფების 2011 წლის სამოქმედო გეგმების განხილვა და შეთანხმება;
6.	27 სექტემბერი	• პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგების წარდგენა • ეროვნული პროფესიული საბჭოს თემატური ჯგუფების 2011 წლის სამოქმედო გეგმების განხილვა და შეთანხმება; • პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების თვითშეფასების ანგარიში (2011 წლის ივნისის მდგომარეობით) • საქართველოს პრემიერ მინისტრის 2011 წლის 2 აგვისტოს ბრძანება ,,სახელობო განათლების რეფორმის სტრატეგიის (სახელობო განათლებისა და მომზადების შუალედური სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2009-2012 წლებისათვის) დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2009 წლის 24 ნოემბრის №342 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე".

7.	2 ნოემბერი	• საბაზო პედაგოგიურ უნარებში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებელთა ტრენინგების მონიტორინგის შედეგები • ევროკომისიის ,,საქართველოს პროფესიული განათლების სექტორის დახმარების პროგრამის" მესამე ტრანშის პირობებში ცვლილებებისა და კორექტივების შეტანა
8.	11 ნოემბერი	• ეროვნული პროფესიული საბჭოს გაფართოებული სხდომა - ეროვნული პროფესიული საბჭოს ფარგლებში შექმნილი დაფინანსების თემატური ჯგუფის მიერ შემუშავებული პროფესიული განათლების დაფინანსების ახალი მოდელის წარდგენა
9.	15 ნოემბერი	ეროვნული პროფესიული საბჭოს გაფართოებული სხდომა: • ევროკომისიის ,,საქართველოს პროფესიული განათლების სექტორის დახმარების პროგრამის" მესამე ტრანშის პირობებში ცვლილებებისა და კორექტივების შეტანა • ეროვნული პროფესიული საბჭოს ფარგლებში შექმნილი დაფინანსების თემატური ჯგუფის მიერ შემუშავებული პროფესიული განათლების დაფინანსების ახალი მოდელის წარდგენა

3.2. თემატური სამუშაო ჯგუფების ჩამოყალიბება და ფუნქციონირება;

2010 წელს, ეროვნულ პროფესიულ საბჭოსთან, ჩამოყალიბებეული 7 თემატური ჯგუფი მიმდინარე წელს აქტიურ მუშაობას განაგრძობდა:

თემატური ჯგუფები იკრიბებიან თვეში ერთხელ, შეიმუშავებენ პოლიტიკის დოკუმენტებს და ამზადებენ წინადადებებს ეროვნული პროფესიული საბჭოს სხდომებზე განსახილველად. მიმდინარე წელს თემატური ჯგუფების აქტიური ჩართულობით მომზადდა და დამტკიცდა შემდეგი დოკუმენტები: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლის სტანდარტი, სოციალური პარტნიორობის პოლიტიკის დოკუმენტი, პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩო, პროფესიულ კვალიფიკაციათა ნუსხა და სხვ.

№	თემატური სამუშაო ჯგუფი	2011 წლის შეხვედრები	
		№	თარიღი
1.	პროფესიულ კვალიფიკაციათა სისტემის ჩამოყალიბება;	1. 2. 3. 4. 5. 6. 7. 8. 9.	1 მარტი 25 მარტი 29 ივლისი 25 აგვისტო 28 ოქტომბერი 8 ნოემბერი 30 ნოემბერი 23 დეკემბერი
2.	პროფესიული განათლების ხარისხის განვითარება;	1. 2. 3. 4. 5. 6. 7. 8. 9.	21 იანვარი 28 თებერვალი 29 მარტი 29 ივლისი 25 აგვისტო 13 ოქტომბერი 8 ნოემბერი 30 ნოემბერი 14 დეკემბერი
3.	პროფესიულ განათლებაში სოციალური პარტნიორობის ჩამოყალიბება;	1. 2.	29 ივნისი 25 ივლისი
4.	პროფესიული განათლების სისტემის მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება;	1. 2.	25 ივლისი 25 აგვისტო
5.	პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარება;	1. 2. 3. 4. 5.	10 თებერვალი 1 ივლისი 29 აგვისტო 23 სექტემბერი

		6.	27 ოქტომბერი 30 ნოემბერი
6.	პროფესიული განათლების დაფინანსების მოდელის ჩამოყალიბება;	1. 2. 3. 4. 5.	29 ივნისი 25 ივლისი 16 ნოემბერი 24 ნოემბერი 14 დეკემბერი
7.	პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სისტემის ჩამოყალიბება.	1. 2. 3. 4. 5. 6.	22 თებერვალი 2 მარტი 27 აპრილი 25 აგვისტო ნოემბერი 9 დეკემბერი

3.3. დაფინანსების ეფექტიანი მექანიზმის შექმნა და ამოქმედება.

2010 წელს, ეროვნულ პროფესიულ საბჭოსთან, ჩამოყალიბებული დაფინანსების თემატური ჯგუფის ფარგლებში შემუშავდა პროფესიული განათლების დაფინანსების გარდამავალი მოდელი, რომელიც 2011 წელს დაინერგა სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 აპრილის №188 დადგენილებით განისაზღვრა პროფესიული განათლების პირველ სამი საფეხურის დაფინანსების წესი და დადგინდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის ყოველთვიური საფასურის ზედა ჭერი, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 250 ლარს. ხოლო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 აპრილის №267 ბრძანებით დამტკიცდა პრიორიტეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი და მათი დაფინანების ზღვრული ოდენობა. (პრიორიტეტული პროფესიული პროგრამების შემუშავებისას გათვალისწინებულია რეგიონული თავისებურებები). საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 აპრილის №188 დადგენილების საფუძველზე, სახელმწიფო ფარავს პრიორიტეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის ღირებულების 80%. ხოლო ყველა მსურველი გადაიხდის სახელმწიფოს მიერ პრიორიტეტად გამოცხადებული პროგრამის ღირებულების მხოლოდ 20%-ს. სახელმწიფო სრულად

აფინანსებს პრიორიტეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე იმ პირთა სწავლას, რომელთა ოჯახებიც რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში და მათი სარეიტინგო ქულა არ აღემატება საქართველოს მთავრობის მიერ საარსებო შემწეობის მისაღებად დადგენილ ზღვრულ ქულას.

არაპრიორიტეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურს პროფესიული სტუდენტი იხდის სრულად.

რაც შეეხება პროფესიული განათლების IV და V საფეხურის დაფინანსებას, 2011 წლის 21 აპრილს მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის №187 დადგენილება ,,2011-2012 სასწავლო წლისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე IV-V საფეხურების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის საფასურისა და ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სახელმწიფო დაფინანსების წესის განსაზღვრის შესახებ". აღნიშნული დადგენილების მიხედვით სტუდენტი 30%, 50%, 70% ან 100%-იან გრანტს იღებს ერთიანი ეროვნული გამოცდების უნარების ტესტით მიღებული ქულის შესაბამისად.

თემატური ჯგუფი აგრძელებს მუშაობაას დაფინანსების ვაუჩერული მოდელის შემუშავებაზე, რომელიც 2012 წელს ამოქმედდება.

3.4. პროფესიული განათლების სფეროსთან დაკავშირებული უწყებების ინსტიტუციური განვითარება;

2010 წლიდან დღემდე, პროფესიული განათლების სფეროში მრავალი მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა, რომელშიც მონაწილეობას სხვასხვა ინსტიტუციები თუ სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი უწყებები იღებდა. ცლილებების განხორციელება კი თავის მხრივ, ჩართული მხარეების საკოორდინაციო შეხვედრებს მოითხოვდა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი სისტემატურად მართავს შეხვედრებს პროფესიულ განათლებაში ჩართულ ორგანიზაციებთან, დაინტერესებულ მხარეებთან განიხილვას აქტუალურ საკითხებს, მოლაპარაკებებს მართავს საერთაშორისო ორგანიზაციებთან კონკრეტული პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით, კოორდინაციას უწევს პროფესიულ განათლებაში ჩართული უწყებების საქმიანობას.

ასევე, პროფესიული განათლების სფეროში ჩართული უწყებების კოორდინაციის მიზნით 2011 წელს პროფესიული განათლების სამმართველო სისტემატურად მართავდა შეხვედრებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების, სამინისტროს დეპარტამენტების, სამინისტროს სსიპ ორგანიზაციების, პროფესიული განათლების სფეროში ჩართული საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით 2011 წლის 16-20 თებერვალს ჩატარდა ტრენინგების ციკლი, რომელიც განკუთვნილი იყო საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებისათვის. ტრენინგების თემატიკა გახლდათ "საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად;" ,,აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად თვითშეფასების ანგარიშის მომზადება.'' ტრენინგში ჩართულნი იყვნენ პროფესიული განათლების განვითარების სამმართველოს და სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლები, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები.

ამავე წლის 30 ივლისიდან 1 აგვისტოს ჩათვლით ქ. ბათუმში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა განახორციელა ტრენინგი აკრედიტაციის საკითხებში. ტრენინგებში მონაწილეობდნენ საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციური განვითარების კუთხით, 2011 წელს მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა გერმანულმა ორგანიზაცია GIZ-მა (INWENT), რომელმაც მიმდინარე წლის აგვისტოში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელებისათვის უზრუნველყვეს ტრენინგები მენეჯმენტის საკითხებში; ხოლო, 2011 წლის ნოემბერში კი მათივე ძალისხემვით, პროფესიული საგანმანათლებლო დირექტორებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებისათვის, ჩატარდა ტრენინგები მენეჯმენტისა და ბიუჯეტირებასთან დაკავშირებულ საკითხებში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიულ სტანდარტებთან შესაბამისობის ხელშეწყობის მიზნით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და ETF-ის მხარდაჭერით განხორციელდა სემინარი და სამდღიანი ტრენინგი 14-18 ნოემბერს, 2011. სემინარისა და ტრენინგების მიზანი იყო პროფესიული

საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაძლებლობების გაძლიერება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შექმნისა და დახვეწის მიზნით, ასევე არსებული პროფესიული სტანდარტების გადახედვა. სემინარსა და ტექნიკური ჯგუფების შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, დამსაქმებელთა ასოციაციისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები. ამავე პროექტის ფარგლებში 19-20 დეკემბერს პროფესიული სტანდარტების შემდგომი განვითარების მიზნით განხორციელდა სამუშაო ჯგუფების ტრენინგი.

2011 წლის 22 ნოემბერს სასტუმრო ,,ჰოლიდეი ინნ''-ში გაიმართა სემინარი - ,,მონიტორინგისა და შეფასების მეთოდები პროფესიულ განათლებაში'', რომელიც ორგანიზებული იყო ევროკავშირის პროფესიული განათლებისა და მომზადების სექტორის პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამის მონიტორინგის პროექტის ფარგლებში. ღონისძიების ძირითადი მიზანი იყო მონაწილეებისათვის პროგრამებისა და პროექტების ეფექტური მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტების გაცნობა. სემინარი შედგებოდა როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ნაწილისაგან, რაც მოიცავდა ჯგუფებში მუშაობას. სემინარი გაიმართა ევროკავშირის დელეგაციის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით. ამავე პროექტის ფარგლებში 2011 წლის 28 ნოემბერს სასტუმრო ,,ჰოლიდეი ინნ''-ში გაიმართა მორიგი სემინარი სახელწოდებით ,,ანგარიშების მომზადება.''ღონისძიების მიზანი იყო ძირითადი დაინტერესებული მხარეებისათვის გაეცნოთ ევროკავშირის სტანდარტები სხვადასხვა სახის ანგარიშების მომზადებაში. სემინარსა და ტექნიკური ჯგუფების შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, ევროკავშირის, დამსაქმებელთა ასოციაციისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები.

მიმდინარე წელს, საერთაშორისო ორგანიზაციამ UNDP-მა ჩაატარა საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ფუნქციური ანალიზი, რომლის საფუძველზეც შემუშავდა ტრენინგ გეგმა და მიმდინარე წლის დეკემბერში განხორციელდა ორი 2 დღიანი ტრენინგი სტრატეგული დაგეგმვის საკითხებში სამინისტროს, სააგენტოებისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დირექტორებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებისათვის.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, 2011 წლის 17-18 დეკემბერს ბაზალეთის კომპლექსში განახორციელა ტრენინგი თემაზე: "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება." ტრენინგს ესწრებოდნენ საჯარო სამართლის იურიდიული პირი პროფესიული და საზოგადოებრივი კოლეჯების დირექტორები და ხარისხის მენეჯერები.

ტრენინგზე სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებმა მონაწილეებს გააცნეს პროფესიულ სტანადარტზე ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების მეთოდოლოგია.

2011 წლის განმავლობაში პროფესიული განათლების განვითარების სამმართველოს თანამშრომლები მონაწილეობას იღებდნენ სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის თანამშრომლების გადამზადებაში.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2011 წელს დამტკიცდა სახელმწიფო პროფესიული კოლეჯების დებულებები, რომლის გათვალისწინებითაც მიმდინარე წლის სექტემბერში დასრულდა სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეთვალყურეო საბჭოს ფორმირება. თბილისის სახელმწიფო პროფესიული კოლეჯების სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ტრენინგი პროფესიული განათლების რეფორმის, საკანონმდებლო ცვლილებების, კოლეჯის დებულებისა და მათი ფუნქცია-მოვალეობების შესახებ მიმდინარე წელს განხორციელდა, ხოლო რეგიონებში არსებული სახელმწიფო პროფესიული კოლეჯების სამეთვალყურეო საბჭოს წევრთათვის ტრენინგების ორგანიზება 2012 წელს იგეგმება.

მიმდინარე წელს პროფესიულმა კოლეჯებმა შეიმუშავეს განვითარების 6 წლიანი სტრატეგია, რომელიც წარმოადგინეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში და დამტკიცებულია სამეთვალყურეო საბჭოების მიერ.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მადლობას უხდის ყველა პატნიორ ოგანიზაციას გაწული დახმარებისთვის და იმედს გამოთქვამს, რომ მომავალშიც მათი აქტიური თანადგომით გააგრძელებს პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის განხორციელებას.